ცნობის ფურცელი

№ 1698 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 16 იანვარი № 1698

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"** ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც **„მოამბე"**-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

კნეინა მარიამ დიმიტრის ასული მაღალაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დედა-მისი კნეინა

თამარა იერემია ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული

მელიქიშვილისა

გარდაიცვალა 12 იანვარს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ₢ სთხოვს მობრძანდნენ ღღეს, 16 იანვარს, 10½ საათზე ქვაშვეთის ეკკლესიაში. წირვის შემდეგ განსვენებულს დაასაფლავებენ ბერძნების წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ნ. ტ. მული ნი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბებუთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო — ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით დაშაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებსა 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ

ქ.ქ. ანდრონიკაშვილის ბ.ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით.

I

თამარ ცბიერი

დრამატიული პოემა 4 მოქ. აკაკი წერეთლისა.

II

ბიძასთან გამოხუმრება

კომედია 1 მოქ. რაფ. ერისთავისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ანდრონიკაშვილისა; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე, ივანიძე და სხვ.

III

დივერტისმენტი

ქეთევან ანდრონიკაშვილისა—შეასრულებს ქართულ ხმებს, ნატალია გაბუნია-ცაგარლისა—შეასრულებს ქართულ ხმებს, ალ. ნებიერიძე—წაიკითხავს გლეხურ სცენებს.

დასასრულ ქეთ. ანდრონიკაშვილისა და დ. აწყურელი შეასრულებენ **ლეკურს.**

მზადდება შემდეგი პიესები: „დამნაშავე", „დასჯილი" „საგიჟეთში", „ტყვე".

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია**

სამხატვრო კლასები

ო. ი. შმერლინგისა და ნ. ვ. სკლიფოსოვსკისა

(სემინარიის ქუჩა, თავადაზნაურთა ეკონომიურ საზოგ. ახლო) ამზადებენ სამხატვრო სკოლებისათვის და უმაღლეს სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებისათვის.

მიიღებიან საღამოს 5-თი საათიდან 7 საათამდე. (5—3)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი"**

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასტორის პირდაპირ. (0—4)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსო ყველა საქმეში გამარჯვებული გამოვიდა. ნაციონალისტები სწორედ ჯავრისაგან აღარ არიან, რომ მოხერხებულ პირველ-მინისტრთან ვერას ხდებიან. ვალდეკ-რუსო ერთ კრებაზე წავიდა თურმე და ნაციონალისტებმა მისი ჯავრის ამოსაყრელად დემონსტრაცია მოახდინეს. მანიფესტანტები იმ შენობის ახლო შეიყარნენ, სადაც კრება იყო გამართული და სტვენითა და საწყენი სიტყვებით უნდა დაჰხვედროდნენ პირველ-მინისტრს, როცა ის კრებიდან შინისაკენ დაბრუნდებოდა. მანიფესტანტები ერთ ყავახანაში იყვნენ შეკრებილნი. პოლიციამ განზრახვა შეუტყოთ და ყავახანიდან ძალით გარეკა მოუნდომა. დიდი ჩხუბი მოხდა. ექვსი ნაციონალისტი დაატუსაღეს, დანარჩენი ყავახანაში დაამწყვდიეს. ზოგიერთი მათგანი მაინც როგორღაც ხელიდან გაუსხლტა პოლიციას და როცა პირველი მინისტრი ეტლში ჩაჯდა, ნაციონალისტები მოჰყვნენ ყვირილს: „დაიღუპოს ვალდეკი!" მაგრამ საზოგადოება მიჰვარდა ნაციონალისტებს და ხელად გააჩუმა.

✡ „პროგრესისტები" (მელინისტები) დიდი პროკლამაციის გამოცემასა და დიდი ნადიმის გამართვას აპირებენ თურმე. მელინის გაზეთი „რეპუბლიკ ფრანსეს"-ი ამბობს, რომ ხსენებული პროკლამაცია მთელ საფრანგეთში იქმნება გავრცელებულიო. პროკლამაციაში აღნიშნული იქმნება, რომ საფრანგეთის მრეწველობას დიდი საფრთხე მოელის ეხლანდელი სამინისტროსაგანაო, რადგანაც ამ სამინისტროში მილიერანი იღებს მონაწილეობასაო. ამავე დროს პროკლამაციაში „გაკიცხულია" მონარქისტებისა და ცეზარისტების ქცევა და აზრები. პროკლამაციას „პროგრესისტების" მეთაურები მოაწერენ ხელს. ნადიმი თებერვლის ნახევარში მოხდება; თავმჯდომარედაც რიბო იქნება და მელინისტების დასის სახელით სიტყვას წარმოსთქვამს.

ინგლისი. ლონდონის უმთავრესმა სასამართლომ 5 იანვარს ძლივს გაათავა დოქტორ კრაუზეს საქმის გარჩევა. დოქტორი კრაუზე ტრანსვაალის მოქალაქეა და იოჰანესბურგის ციხის უფროსად იყო წინად. კრაუზეს იმ ბრალსა სდებდნენ, ვითომ ვინმე კორნელი ბრუქსმასათვის სამხრეთ-აფრიკის ლიგის თავმჯდომარე ფორსტერის მოკვლა ერჩიოს.

საქმის გარჩევის დროს კრაუზეს დამცველი ამტკიცებდა: როცა მოხელეებმა კრაუზეს წერილი ჩაიგდეს ხელში, ბრუქსმა უკვე დასჯილი იყოო და განა მკვდრის წაქეზება შეიძლებაო? უმაღლესი მოსამართლე დასთანხმდა დამცველს, მაგრამ თანაც გამოაცხადა, რომ კრაუზე მაინც ცდილობდა ბრუქსმას წაქეზებასაო. ნაფიცმა მოსამართლეებმა დამნაშავედ იცნეს ბრალდებული. როცა მოსამართლე დაეკითხა, რას იტყვით თქვენი თავის გასამართლებლადაო, კრაუზემ უპასუხა: „მე ჩემ დღეში არავინ არ წამიქეზებია და ვისიმე მოკვლა არავისთვის არ მირჩევია; ფიქრადაც არ მომსვლია ამისთანა საქმე, თუმცა კი ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ სწორედ ფორსტერმა და მისმა ამხანაგებმა ასტეხეს ეხლანდელი სამარცხვინო ომი".

სასამართლომ კრაუზეს ორი წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✡ პარლამენტის პირველი სხდომა მეტად საინტერესო იყო, რადგანაც ამ სხდომის დროს პარლამენტში ლაპარაკი ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ რა პირობით შეიკრას ზავი ბურებთანაო. ლორდთა პალატაში ამის შესახებ ამნაირი კამათი მოხდარა. ამ საქმეზე ლაპარაკი პირველად ლორდთა პალატის ლიბერალების მეთაურმა ლორდ სპენსერმა ჩამოაგდო. სპენსერმა სთქვა:

„ჩვენი მთავრობა აქამდე ერთ თავად სულ იმას აცხადებდა, რომ ბურები ულაპარაკოდ, პირობის დაუდებლად უნდა დაგვმორჩილდნენო. ჩვენის ფიქრით, ეს სწორე აზრი არაა. მეც წინააღმდეგი ვარ იმისი, რომ ინგლისმა პირველმა მოინდომოს ზავის ჩამოგდება. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ რამენაირად უნდა შევატყობინოთ ბურებს, თუ რა პირობით შეურიგდებათ ინგლისის მთავრობა. ოპოზიცია ეთანხმება მთავრობას, რომ ჩვენმა ქვეყანამ დიდი მსხვერპლი შესწირა ამ ომს და ამიტომ ბურებს დამოუკიდებლობას ვეღარ დაუტოვებთ. მე და ჩემი მეგობრები იმ აზრისა ვართ, რომ ზავის ჩამოგდების უმალვე ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკას ავსტრალიისა და კანადასავით პოლიტიკური ავტონომია უნდა მივანიჭოთ. ამას გარდა იმ აზრისა ვარ, თუ ყველა აჯანყებულებს არ ეპატია, ჩვენი ხალხი ბურებთან მეზობლად ვეღარ იცხოვრებს. მთავრობამ კაპის კონსტიტუცია გააუქმა და გაძლიერებული დაცვის წესები დააწესა. მკაცრად ვგმობ ამ წესებს. გთხოვთ გამაგებინოთ, სწადიან მთავრობას ამ საქმეზე პარლამენტს მოახსენოს და ამ წესების დამტკიცება სთხოვოს, თუ არა?"

ლორდ სპენსერის პასუხად პირველმა მინისტრმა ლორდ სოლსბერიმ სთქვა:

„ადრე ვსთქვი, რომ ბურებს დამოუკიდებლობის ნატამალიც კი არ უნდა შევარჩინოთ-მეთქი. ეს ორი წელიწადია, რაც წამდა-უწუმ ბევრნი მკაცრად მკიცხვენ ამ სიტყვის თქმისათვის. წინანდებურად მტკიცედ ვდგევარ ამ აზრსა და ძლიერ მოხარული ვარ, რომ ოპოზიციის წინამძღოლიც ამ აზრისა ყოფილა და ბურების დამოუკიდებლობის დატოვება შეუძლებლად მიაჩნია. ზავის პირობებზე და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების მოწყობაზე ეხლა რისამე ბეჯითად თქმა მეტად ძნელია. სულ უსარგებლო ლაპარაკი იქმნება, ეხლავე წინ-და-წინ ვსთქვათ, თუ რანაირად მოვექცევით ბურებს და რა პირობებს დაუდებთ, რადგანაც არც კი ვიცით, თუ როდის გათავდება ეს ომი. ლორდ სპენსერი, როგორც ეტყობა, ასე ჰფიქრობს: როცა რომელიმე ხალხი უმიზეზოდ შემოსეულ მტერს დაამარცხებს, თითონვეა მოვალე ჰკითხოს დამარცხებულ მტერს, რა პირობით ინებებთ შერიგებასაო. გადაჭრით არ ვეთანხმები ამისთანა აზრს. მეტიჩრობა არ იქმნება, წინდაწინვე გამოუცხადოთ ჩვენ დამარცხებულ მოწინააღმდეგეებს, თუ რა პირობით შეურიგდებით და ვაპატიებთ, როდესაც ჩვენ მოწინააღმდეგეებს გუნებაშიაც არ უდევთ შერიგება? რას მიქვიან თხოვნა და თავის მოხრა. ბურებს რომ ჰკითხოთ, ჩვენვე თითონ უნდა ვსთხოვოთ ზავის ჩამოგდება. როცა ბურები თითონა გვთხოვენ ზავსა, მაშინ ჩვენც პირობებს დაუდებთ. მინამდე კი ჩვენ მძიმედ უნდა მოვიქცეთ; სულ ერთია, კონსტიტუციისა და პატივების დაპირებით ჩვენ ვერ მოვხიბლავთ ბურებს. თუ ბურებს ზავი სწადიანთ, დეე, თითონა სთქვან, და სინამ ისინი ჩუმად არიან, ყველას ის ემჯობინება, რომ ზავზე, რაც შეიძლება, ნაკლები ვილაპარაკოთ" (ტაშის ცემა).

ამის შემდეგ პირველმა მინისტრმა კაპის კოლონიაზე და იქაურ სამხედრო, ანუ გაძლიერებული დაცვის წესებზე ილაპარაკა. ლორდ სოლსბერიმ სთქვა: ამ წესების შემოღება აუცილებლად საჭირო იყო და ჩვენც ამიტომ დავაწესეთო.

პირველი მინისტრის შემდეგ ლორდ როზბერიმ ილაპარაკა და სამხედრო წესების შემოღება ძლიერ მოიწონა. ლიბერალ-იმპერიალისტების მეთაურმა სთქვა: ძალიან ვნანობ, რომ ეს წესები წინადვე არ იყო შემოღებულიო. მერე როზბერიმ ჰკითხა სოლსბერის, ბურებს ზავზე მოლაპარაკება ხომ არ დაუწყიათო. ჰოლანდიის პირველი მინისტრი ამ საქმეზე ხომ არ მოდის ინგლისშიო? სოლსბერიმ უპასუხა, არაო.

სამხრეთ-აფრიკა. ყველა განათლებულ ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში კრებებს ახდენენ და ბურებს თანაგრძნობას უცხადებენ, ბევრგან ფულსაც უგროვებენ. საფრანგეთსა, შვეიცარიასა, ბელგიასა, გერმანიასა ჰოლანდიასა და სხვაგან დღემდე ბევრ ფულს აგროვებენ ბურების ქალებისა და ბავშვების სასარგებლოდ და ინგლისის მთავრობის უღირსობას ჰკიცხავენ. მაგრამ რესპუბლიკელ გმირებს ყველაზე მეტი თანამგრძნობი, როგორც ეტყობა, ამერიკაში ჰყოლიათ. ამერიკელებს სწადიანთ, რომ ბურებს მთელი ამერიკის ერის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადონ. ამის თაობაზე ქაღალდი შეუდგენიათ და ზედ 212,604 კაცს მოუწერია ხელი.

ამერიკელები ფულსაც ხომ უგროვებენ ბურებს, მაგრამ ფულის გარდა, ბურების ტყვეებისათვის ტანისამოსი და საჭმელიც გაუგზავნიათ.

ბელგია. ლიბერალებსა და სოციალისტებს სწადიათ, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება და პროპორციონალური წარმომადგენლობა შემოიღონ. ამ უფლების შემოღების მსურველთ—34 სენატორს და 56 დეპუტატს—ამნაირი პროკლამაცია გამოუციათ:

„ორიოდე დღის შემდეგ პარლამენტში საყურადღებო კანონ-პროექტის განხილვა დაიწყება. ამ კანონ-პროექტის ძალით საყოველთაო, თანასწორი უფლება უნდა დაწესდეს პროვინციისა და თემებისათვის. ამ საქმეზე გამართულ კამათს დიდი მნიშვნელობა ექნება. დიდი საქმე იქნება, რასაკვირველია, ამ უფლების შემოღება, მაგრამ ჩვენ უფრო დიდი საქმის ასრულება—ჩვენი კონსტიტუციის შეცვლა გვწადიან. და მომავალი კამათის დროს ამ მეორე საქმეზედაც იქნება ჩამოგდებული ლაპარაკი. საყოველთაო საარჩევნო უფლების დაწესებას ცალკე ის გარემოება გვიადვილებს, რომ ამ უფლების დაწესება უბრალო კანონითაც შეიძლება, ცალკე კიდევ თითონ ჩვენი მტრების შეცდომები და თავხედობაც გვიწყობს ხელსა. მართლაც და, ეხლანდელი კანონის ძალით მდიდრებსა და განათლებულებს თემებში ოთხ-ოთხი ხმის უფლება აქვთ მიცემული. ამავე კანონის ძალით, ყოველი ამომრჩეველი მეტად დიდი წლოვანობისა უნდა იყოს და მეტად დიდხანს უნდა ცხოვრობდეს იმ ადგილას, სადაც არჩევანში მონაწილეობას იღებს. ამისთანა უმგზავსი წესები მთლად ამახინჯებს ჩვენ კონსტიტუციას და შეუძლებელსა ჰხდის, რომ ხალხმა რიგიანი წარმომადგენლები აირჩიოს. ამას გარდა ეხლანდელ წესებს მრავალი საზიზღარი უსამართლობა და სიყალბე მოსდევს; ამ უსამართლობასთან ბრძოლაც კი შეუძლებელია, ამიტომ უსამართლობის ჩამდენნი დაუსჯელად რჩებოდნენ. ყველა ამ გარემოებამ პატიოსან ხალხს გული აუშფოთა და ისინიც კი, ვინც წინად საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების წინააღმდეგნი იყვნენ, ეხლა ამ უფლების მომხრეები გახდნენ. დასასრულ ბევრი მოქალაქე იმ აზრისაა, რომ პროპორციონალურ წარმომადგენლობას უსათუოდ საყოველთაო საარჩევნო უფლება მოჰყვებაო. ამიტომ ვისაც კი ეხლანდელი ჩვენი წესები სძულს, ისიც უნდა ესმოდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ კამათს. ეს კამათი მთელ ჩვენ ქვეყანას უნდა გავაგებინოთ. ამისათვის საჭიროა დიდი პროპაგანდა, ყველგან პროკლამაციები, ფურცლები და აფიშები უნდა გავრცელდეს, რაც შეიძლება მეტი კრება გაიმართოს და ყველგან ლექციები წავიკითხოთ. ამიტომ დავადგინეთ, რომ თავდაპირველად ფონდი დავაარსოთ და მერე ისე შევუდგეთ ბრძოლას საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის. იმედი გვაქვს, ყველა თავის შეძლებისამებრ დახმარებას გაუწევს ამ ფონდს“.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში **წმ. ნინოს** დღესასწაულ დღეს, 14 იანვარს, სადღესასწაულო წირვას მრავალი მლოცველი დაესწრო, ისე რომ ეკლესიაში ტევა აღარ იყო. მწირველი ბრძანდებოდა ეპისკოპოსი კირიონი. წირვის შემდეგ დღის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა კარბელაშვილმა.

◆ 14 იანვარს, ტფ. **წმ. ნინოს სასწავლებელში** გაიმართა ჩვეულებრივი სადღესასწაულო აქტი ამ სასწავლებლის დღესასწაულის გამო.

◆ „ტფ. ფურცელს“ პეტერბურგიდან სწერენ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დააარსოს ამიერ-კავკასიის საგლეხო **სახელმწიფო ბანკი.** ბანკი დაარსდება ტფილისში ამ წლის ბოლოს.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ **ხიზნებისაგან** ადგილ-მამულის გამოსყიდვა ხაზინამ იკისროს; ამ შემთხვევაში გამოსასყიდელი გადასახადი მემამულეებს-კი არ გადაეცემა, არამედ ხაზინას.

◆ 14 იანვარს, ტფ. პოლიცმეისტრის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა ტფილისის ყველა ბოქაულებისა, რომლებმაც განიხილეს სხვა-და-სხვა საქმე **მეეზოვეთა ინსტიტუტისა და საადრესო სტოლის** შესახებ. სხვათა შორის, ბოქაულებს დაევალათ გამოუცხადონ სახლის პატრონთ, რომ 16 იანვრიდან მათ შეუძლიათ შეიძინონ პოლიციაში და უბნების საპოლიციო სამართველოებში საადრესო წიგნები, საადრესო ფურცლები და მეეზოვეთათვის ნუმრები. იქვე 20 იანვრიდან გაიყიდება რუსული, ქართული და სომხური წიგნაკები, რომლებშიაც აღბეჭდილი იქნება მეეზოვეთა და საადრესო სტოლის წესები.

◆ მოგვყავს კიდევ შემდეგი **ცნობები მეეზოვეთა და საადრესო სტოლის შესახებ:** სულ ჯერ-ჯერობით იქნება 1500 მეეზოვე; ზოგიერთ პატარა სახლებს თითო მეეზოვე ეყოლება. განაპირა ადგილებში ღარიბ სახლის პატრონთ თვითონ უნდა აასრულონ მეეზოვეთა ვალდებულებანი; ღამით მორიგეობისათვის კი უნდა დაიქირავონ მცველები (თითო ყოველ ქუჩაზე). მეეზოვეთა მორიგეობა ღამით გასტანს საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე. საადრესო სტოლის გამგედ დროებით დაინიშნა პოლიციის საქმის მწარმოებელი ივანიცკი. სტოლი იქნება პოლიციის არხივთან, „მოსკოვსკი ბალკა“-ში. ჯერ-ჯერობით სტოლით სარგებლობა მარტო სახელმწიფო დაწესებულებათ შეეძლებათ; მარტიდან-კი ყველა მსურველთ შეუძლიათ მიიღონ საჭირო ადრესი მცირე ფასის გადახდის შემდეგ.

◆ ამ ჟამად ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალიოვი ადგენს **შინაურ მოსამსახურეთა** შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო **საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 15 იანვარს უნდა მომხდარიყო, 18 იანვრისათვის გადიდვა.

◆ ხარკოვის გუბერნიის სუმის ეპარქიის ეპისკოპოსად დანიშნული ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფი **არქიმანდრიტი სტეფანე** 14 იანვარს გამოეთხოვა სემინარიის მასწავლებელ-მოსწავლეებს და გაემგზავრა ბაქოს რკინის გზით პეტერბურგში, სადაც ეპისკოპოსად უნდა აკურთხონ.

◆ კავკავის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა, რომ სამხედრო უწყებას დაეთმოს 17 დესეტინა საქალაქო მიწა **კავკავის საკადეტო კორპუსის** შენობის ასაგებად.

◆ **ხარკოვიდან** გვატყობინებენ, რომ იქაურ კავკასიელ სტუდენტობას: ქართველებს, სომხებსა და კავკასიელ მაჰმადიანებს 7 იანვარს ჩვეულებრივი საღამო გაუმართავთ, რომელსაც დიდი საზოგადოება დასწრებია. 2200 მანეთი შემოსულა, ამ საღამოს გამართვაზე დაჰხარჯვიათ 1500 მ. და მხოლოდ 700 მან. დარჩენიათ წმინდა შემოსავალი.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ 9 იანვარს კონცერტი გაუმართავს **მამა ხუციშვილს,** რომელსაც ჩვენი ტფილისის საზოგადოება კარგად იცნობს. საზოგადოება აღტაცებაში და გაკვირვებაში მოიყვანა მართლადაც ხელოვნურის დაკვრით ამ პატარა მიშამ.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ქიათურის რკინის გზის სადგურ დარკვეთიდან საჩხერემდე რკინის გზის გასაყვანად სამუშევრები საჯარო იჯარით გაიცა კერძო პირებზე.—როგორც გვატყობინებენ, მოიჯარადრეთ უკვე **დაუწყიათ** ახალის ლიანდაგის მუშაობა. სულ 8 ვერსის მანძილზეა გასაკეთებელი გზა და იმედი აქვთ, ამა მიმდინარე წლის შემოდგომამდე გზა სრულიად დაასრულონ.

◆ სადგურ შორაპნიდან გვატყობინებენ, რომ სადგურებ ბოსლევსა და რკვიას შორის ჩამოწვა **ქვის ზვავი,** რის გამოც მატარებლების მიმოსვლა დროებით შესწყდა.

◆ რადგანაც ტფილისის საგუბერნიო **საპატიმროსა და მეტეხის** შენობები ძალიან დაძველდნენ, კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციის განკარგულებით დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ისინი და გამოარკვიოს საკითხი—საჭირო იქნება ახალის შენობების აგება, თუ საკმარისია რემონტის მოხდენა.

◆ ი. გ. ალიბეგოვს მოუვიდა ბრალდებითი ოქმი, რომლით მას ბრალად ედება ბოქაულის დუბანოსოვისა და სტრაჟნიკების ვასილიევის, ბოგატიროვისა და საკაჩევის **შეურაცხყოფა,** როდესაც ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ შემწეობას უჩენდნენ.

◆ 17 იანვარს სხდომა ექნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხვათა შორის, უნდა ამოირჩიონ ქალაქის პირველდაწყებით სკოლებში ქართული ენის მასწავლებელი.

◆ კახეთის მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან იმ გარემოების გამო, რომ აქამომდე თოვლი არ დაუდევს და თითქმის განუწყვეტელმა ქარმა და ღამით ყინვებმა ყანები მეტად შეაწუხეს. თუ ასე გაგრძელდა—გვწერენ—შესაძლებელია ამ ხმელმა ყინვამ სრულიად ხელი აალებინოს ხალხს ღვინისა და პურის მოსავალზეო.

◆ 12 იანვარს ზემო იმერეთში თოვლი მოსულა, მანამდე-კი, როგორც გვატყობინებენ, თოვლი სრულებით არ ყოფილა.

◆ თიანეთისა და ბორჩალოს მაზრებში **გადამდები ავადმყოფობა** გაჩენილა: თიანეთში—ქუნთრუშა, რომლითაც ოთხ სოფელში ავად გამხდარა 12, ამათგან სამი მორჩენილა, 3 გარდაცვლილა, ექვსი კი ავად არის; ბორჩალოში—მუცლის სახადი, რომლითაც სოფელ ალავერდში ხუთი გამხდარა ავად, მათ შორის სამი გარდაცვლილა და ორიც ისევ ავად არის.

◆ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ექიმი **მაჭავარიანი** კახეთიდან დაბრუნდა და ახლო ხანს ქართლისაკენ აპირებს წასვლას.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა დაამტკიცა თელავის მაზრის სოფელ იყალთოს კერძო **ქსენონის** მართვა-გამგეობის ინსტრუქცია.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოიწერა პეტერბურგიდან, ძმების მლინარსკებისაგან, მათ მიერ მოგონილი **საარჩევნო ყუთი,** რომელსაც კენჭის რაოდენობის დათვლისათვის ავტომატიური მანქანა აქვს მოწყობილი. ყუთს ჩვეულებრივ ორი განყოფილება აქვს: თეთრისა და შავის კენჭებისა;

ფელეტონი

სამეცნიერო წერილები

II

სიცოცხლის დასაბამი

მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ ყოველი არსება აღჭურვილი სიცოცხლით შემდგარია პატარა გარსებისაგან (cellules), ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, შემდგარია ერთგვარ ნივთიერებიდან, რომელსაც უწოდეს სახელი პროტოპლაზმა. მიკროსკოპის საშუალებით ყოველ ადამიანს შეუძლიან დაინახოს ეს პროტოპლაზმა ანუ გარსი, ამისთვის საჭიროა მხოლოდ გასინჯვა მიკროსკოპში რომელისამე მცენარის ან ცხოველის სხეულის ნაწილისა. ადვილად დაინახავთ, რომ ყოველი ორგანიული არსება, მცენარე, გინა ცხოველი, მთლად ამ გვარ პროტოპლაზმიდანაა შემდგარი, ანუ, სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, ყოველი ცხოველი ამ გვარ გარსებისაგან არის შემდგარი. რაც უფრო რთული შენობისაა ცხოველი, იმისი პროტოპლაზმაც მით უფრო მრავალ ფეროვანია და ის ქიმიური პროცესები, რომელნიც შიგ ტრიალებენ, უფრო მრავალგვარია. ადამიანი ყოველ არსებაზე უფრო რთული ორგანოა, მაგრამ ისიც მხოლოდ ამ გვარ გარსთაგან, ანუ ამ პროტოპლაზმისაგანაა შემდგარი.

—

რა არის მერე ეს პროტოპლაზმა? იკითხავს მკითხველი. ქიმიურად თუ გავარჩევთ, პროტოპლაზმა ის ნივთიერებაა, რომელსაც სახელად ალბუმინოიდს უწოდებენ, ე. ი. ის ნივთიერებაა, რომელსაც ოთხი არა ორგანიული ელემენტი შეადგენს: ნახშირ-მბადი, წყალ-მბადი, მჟავ-მბადი და აზოტი; ამ ოთხ არა ორგანიულ ელემენტს კიდევ სხვა ელემენტები ემატება და ეს ელემენტები გარედან შედიან; სახელდობრ: გოგირდი, რკინა და ფოსფორი.

ამ გვარად, პროტოპლაზმას შეადგენს არა ორგანიული ნივთიერება და ყოველი ცოცხალი არსებაც, მცენარე თუ ცხოველი, როგორც პროტოპლაზმისგან შემდგარი, აგრეთვე არა ორგანიულ ნივთიერებიდანვეა შემდგარი.

გარდა ამ ქიმიურ თვისებისა, პროტოპლაზმას მეორე საკვირველი თვისებაც აქვს—ფიზიოლოგიური. ეს მეორე თვისება ისაა, რომ თვითონ პროტოპლაზმა, ანუ გარსი, პატარა, მიკროსკოპიული არსებაა, რომელსაც თავისი საკუთარი სიცოცხლე აქვს იმიტომ, რომ იგი იბადება, სცოცხლობს და კვდება, როგორც სხვა რთული არსება. როცა პროტოპლაზმა სცოცხლობს, იგი იკვებება, სუნთქავს, მრავლდება და გრძნობიერებასაც იჩენს, თუ მაზე რომელიმე გარეგანი მოვლენა ჰმოქმედებს, ვსთქვათ—სინათლე. გარეგნობით პროტოპლაზმა წარმოადგენს ჩჩვილ, სითხის მსგავს ორგანიულ ნივთიერებას, რომლის სიცოცხლეც იმით გამოისახება, რომ გარედან მიღებულ არა ორგანიულ ელემენტს თავის მსგავს ორგანიულ ნივთიერებად გადაჰქცევს და შემდეგ საშინელის სისწრაფით მრავლდება.

—

ზემოთ მოგახსენებთ, რომ სხვა-და-სხვა ფერად შემდგარი პროტოპლაზმა არის პირვანდელი ნივთიერება და ყოველი ორგანო ცოცხალ არსებისა ამისაგანაა შემდგარი. ვიდრე იმას გავიგებდეთ, როგორ და რა გვარად იცვლება ეს პროტოპლაზმა, ჯერ ის გავიგოთ—ცოცხლობს, თუ არა ბუნებაში ისეთი არსება, რომელიც შემდგარია შეუცვლელ პროტოპლაზმისაგან?

1868 წელს გერმანელმა ბუნების-მეტყველმა ჰაკელმა მიაქცია მეცნიერების ყურადღება ერთ-გვარ ორგანიზმზე, რომელიც მარტო შეუცვლელ პროტოპლაზმისაგან შემდგარია, და უწოდა სახელი **მონერა.** ეს მონერა, ცოცხლობს მლაშე წყალში და პროტოპლაზმის ერთს ნაჭერს წარმოადგენს; იკვებება ამავე წყალში, აქვე მრავლდება და აქვე კვდება.

—

დღევანდლამდინ ყოველ არსებათა შორის ამ მონერას ყველაზე სადა და უბრალო აგებულება აქვს. ყოველ მცენარის და ცხოველის აგებულება მონერაზედ უფრო რთულია, მხოლოდ მცენარეებში და ცხოველებში ისეთი არსებაც არის, რომელიც მონერას უახლოვდება და ამით მონერას მცენარესთან და ცხოველთან ნათესავურად აკავშირებს.

ცხოველთა და მცენარეთა შორის, რომელნიც ენათესავებიან მონერებს, უნდა დავასახელოთ **ამება** (Amaeba), ერთგვარი ცხოველი, რომელიც წყალში ცოცხლობს და მეორე—**მიქსომიცეთ** (Myoxomycet) ერთგვარი მცენარე ანუ სოკო, რომელიც ფოთოლზე სცოცხლობს. დაწვრილებითი აღწერა, როგორ ენათესავებიან მონერები მცენარეებს და ცხოველებს, ჩვენს საგანს არ შეადგენს,—ეს ბიოლოგიის საქმეა, ჩვენ მხოლოდ ამ გვარი ნათესაობა გვახსოვდეს და ზედაც ის დაურთოთ, რომ დარვინის შესანიშნავი კანონი ევოლიუციისა, რომლის ძალით ყველა მცენარე, ყველა ცხოველი ერთმანეთ შორის განუწყვეტლად დაკავშირებულია და ამიტომ ერთი ცხოველი ანუ მცენარე მეორისაგან წარმოშობილია—და მაშინ ჩვენ ნათლად დავინახავთ მთელ სურათს ეხლანდელ მცენარეების და ცხოველების წარმოშობისას რომელისამე უბრალო აგებულების ცოცხალ არსებისაგან.

—

როგორც ვხედავთ, მონერას არც მცენარეთა შორის, არც ცხოველებში წინაპარი არა ჰყავს, რადგან თითონ არის დასაწყისი, დასაბამი ერთისაც და მეორისაც. მაგრამ მონერა როდისმე ხომ უნდა გაჩენილიყო? კარგათ ვიცით, რომ დედა მიწაზე სიცოცხლე ყოველთვის არ ყოფილა: იყო დრო, როდესაც დედა მიწა ისეთი ცხელი იყო, რომ ვერც მცენარე და ვერც ცხოველი ვერ იცოცხლებდა. ჩვენ ეხლა ის უნდა გამოვიკვლიოთ, რა გვარ მდგომარეობაში შესაძლებელი იყო, რომ სიცოცხლეს დასაბამი ჰქონოდა ჩვენს დედა მიწაზე.

—

ამის ასახსნელად დედა მიწის წარსული უნდა გამოვიკვლიოთ და ეხლანდელ მეცნიერების გამოცდილება შევიგნოთ. გეოლოგიამ დაგვიმტკიცა, რომ დედა მიწა ერთ დროს გამდნარ ნივთიერებას წარმოადგენდა და დღესაც მის შუაგულში იგუბება გამდნარი ლითონები და კლდეები, რომელნიც ამოდუღდებიან ხოლმე ზედა პირზე ცეცხლ მფრქვეველ მთებით ანუ ვოლკანებით. გამდნარი დედა მიწა ნელ-ნელა ცივდებოდა და მაგრდებოდა; ბოლოს იმ ზომამდე გაცივდა, რომ სიცოცხლის აღმოცენებაც შესაძლებელი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავარდება თუ არა კენჭი ერთ-ერთ განყოფილებაში, ხსენებული მანქანა აღნიშნავს მას, კენჭი კი ქვეიდან ისევ გარედ გადმოვარდება; ასე რომ კენჭის ყრისათვის მხოლოდ ერთი კენჭი იქმნება საჭირო. კენჭის ყრის გათავების შემდეგ ყუთი გაიხსნება და იქ იქმნება აღნიშნული, რამდენი თეთრი და რამდენი შავი კენჭი ჩავიდა თითოეულ განყოფილებაში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების ტელეგრაფის უფროსი ნ. ს. ეგოროვი დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა სამსახურის აღსრულებას.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში ამ დღეებში დავით ბახუტაშვილის ჩვენებით პოლიციამ დააპატიმრა დუშეთის მაზრის სოფ. დადიანეთის მცხოვრები ნიკო ბერიანიძე, რომელსაც თავ. ირაკლი წერეთლის სახლიდან სხვა და სხვა ძვირფასი ნივთების მოპარვა ბრალდება.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, 13 იანვარს დილით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ნახეს მატარებლისაგან გასრესილი კავკასიის მე-2 საპიორთა-ბატალიონის ჯარის კაცი გვარად ბეტან ზოლოტარევი, რომლის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში მიიტანეს.

◆ გუშინ, 15 იანვარს, გამოურკვეველის მიზეზისა გამო სასტუმრო „ორიანტის“ ეზოში, ერთის მკერვალის სადგომს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს. ზარალი ჯერ არ გამოურკვევიათ.

◆ პოლიციის 1-ლ ნაწილში, 12 იანვარს, დილის 11 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ევლამპი სუკაჩევის სახლს. მალე ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ გადავიდა მის გვერდით თაგუ ხატიაშვილის სახლზედაც. კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეს; სახლის პატრონებს კარგა საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ. სუკაჩევის სახლი დაზღვეული ყოფილა 2000 მანეთში, ხოლო ხატიაშვილისა—2500 მანეთში.

◆ პროექტის ქუჩის (სოლოლაკში) მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას მალე იქმნას დაგეგმული და მოკირწყლული მათი ქუჩა. ერთი ადგილის პატრონთაგანი 100 მან.-თად უთმობს ქალაქს თავის ადგილს ქუჩის გასაფართოებლად.

ქუთაისის ახალი ამბები

～ რადგანაც უფროს ნოტარიუსის თანაშემწე ბ. კოკოჩევი ქუთაისის სამაზრო მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ დაინიშნა, მის მაგიერ ნოტარიუსის თანაშემწედ 1-ლ იანვრიდან დაინიშნა სასამართლოს ბოქაული ბ. გოცირიძე, ხოლო უკანასკნელის მაგიერ—სასამართლოს მდივნის თანაშემწე ბ. ბეშკენაძე.

～ ქუთაისის ახლო-მახლო იპოვება ოზეკერიტი—ერთგვარი მიწა, რომლიდან მზადდება წმინდა სანთელი. ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წარედგინა ერთის მრეწველის თხოვნა—მისცენ მას იჯარით ქუთაისის მიდამოებში სახაზინო ადგილი ხსენებულ მადნის შესამუშავებლად.

～ უცხო ქვეყნის ძვირფას მცენარეთა სათესლე მინდვრის გამგეს ქ. ქუთაისში სამიწად-მოქმედო სამინისტრომ გამოუგზავნა გასავრცელებლად ერთგვარის ჯიშის მუხის 6 ფუთი რკო, რომლის ფიალას (чашечки) ხმარობენ ტყავის დასარბილებლად. მცირე აზიაში ეს მუხა კარგად ხარობს და მას რკოს დიდი გასავალი აქვს; მარტო რუსეთის იმპერიაში მოაქვთ ყოველ წლივ 4,000.000 ფუთამდე; ადგილობრივ ეს რკო დირს გირვანქა 7—10 კაპეიკად.

დაბა-სოფლები

კახეთი. კახელებს სწორედ ავდრიანი დღე დაჰნატრულდათ. ორ-თვეზე მეტია, რაც სულ კაშკაშა მზიანი დღეებია და შესამჩნევად თბილოდა კიდეც. ხეხილები დასაყკავილებლად მოემზადნენ და ვაზსაც კვირტი აუღივდა, რომ ახლა იანვრის 7-ს ქარი ამოვარდა; ორი დღე განუწყვეტლივ ჰქროდა და სულ ამოახმო ისედაც გამშრალი დედამიწა. ამასთან მკაცრი სიცივეებიც დაიჭირა. თუ ხან და ხან საავდრო ღრუბელი გამოჩნდა ლაჟვარდ ცაზე, მაშინვე ამოვარდება ქარი და გადაჰჭერ-გადმოჰჭერის ხოლმე. შუა ზამთარია და ჯერ ანეულს ნამი არ ჰღირსებია და, თუ შემდეგშიაც ასეთი დარები დაიჭირა, კახეთს ქიზიყის დღე დაუდგება.

საქონლის ჭირმა ხომ მოაბეზრა თავი კახელებს. თითქმის გამოღმა ყოველ სოფელში მძვინვარებდა ეს ჭირი და დიდ-ხანსაც ჩერდებოდა. წარსულ შემოდგომაზე ეს სენი ეწვია თიანეთის მაზრიდან დაწყობილი სოფ. ქისტაურს, თსიაურს, ახმაანს, ხორხელს, იყალთოს, ყარაჯალას, გულგულას, გარდის-უბანს, თელავსაც-კი, შალაურს, ქვემო ხოდაშენს, აკურას, ვანჭაძიანს, კალაურს და ურიათუბანს ვიდრე სიღნაღის მაზრამდე. ამის გამო როგორ შევიწროვდებოდნენ მცხოვრებნი და როგორ დაქვეითდებოდა მათი ნივთიერი მდგომარეობა, მერე წლევანდელ მოუსავლობასთან, ეს ადვილი გასაგებია. ამისათვის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ, როგორც იყო ყველა დასახელებულ სოფლებში ჭირი შედგა და „კარანტინი“-ც ახსნეს სოფ. ურიათუბნის გარდა. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ გამოღმა მხარე ჯერ არც-კი განთავისუფლებულიყო სავსებით და ახლა გაღმა—ს. მაღრანს 10 ამ თვეს ეწვია ეს საზიზღარი სტუმარი. კიდევ კარგი, თუ ერთ სოფელში გაჩერდა და, როგორც გამოღმა, სხვა სოფლებშიაც არ გადავიდა, თუმცა-კი ადმინისტრაციის მიერ საჭირო ზომებია მიღებული ჭირის მოსასპობად.

—

ალავერდი (კახეთი). ამ სოფლის მცხოვრებს ეგნატე შარმაზანაშვილს 4 იანვარს, ღამით ეწვივნენ ძრიელ შინაური სტუმრები ისე, რომ თვით მასპინძელი არც კი შეაწუხეს და პირ-დაპირ საღორეში შებრძანებულიყვნენ. რა გაეგოთ მასპინძლის გულ-უხვობა, ეთქვათ, არც ის დაიშურებსო და წაესხათ ცამეტი სადღეღ დორი, მხოლოდ ფეხ-აკრეფით გაერეკათ, მასპინძელს ძილი არ დავუფრთხოთო და ჩქარაც, რადგანაც ძრიელ აცივებულა. მიერეკათ ზემო-ხოდაშნის დუქანში, საჩქაროდ დაეხოცათ ცამეტივე დორი, სუყველა გაეფუფქათ და, ის იყო უნდა მიემალ-მოემალნათ თურმე, რომ გულ-უხვ მასპინძელსაც გაეღვიძნა. რა გაეგო დორების გარეკა, გამოჰკიდებოდა უკან. მართლაც კვალზე მიეგნო და მოსულიყო დუქანში თავის დორებთან. უდროვო სტუმართ წმინდის გულით აღეარებინათ თავიანთი დანაშაული და მოინდომეს მასპინძლის დაქრთამვა (რამდენიმე თუმანი ეძლიათ): შენი დორები შენვე წაიღე, ჩვენი შრომა ალალი იყოსო, ოღონდ-კი ნუ გამოამჟღავნებ ამ საქმესაო. მაგრამ ჯიუტ მასპინძელს არ ექნა და მეორე დღეს გამოეცხადებინა ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის.

—

ურიათუბანი (თელავის მაზრა). ამ თვის პირველ რიცხვებში ს. ურიათუბნის მცხოვრები გლეხი დათუაშვილი მთაში წასულა ჭიგოს მოსაჭრელად. ჭიგო რომ მოეჭრა, იქვე ბილიკზე გამოეზიდნა და დაეწყო ჩეკნა. ამ დროს გამოვარდნილა ტყიდან დაჭრილი დათვი, სცემია საბრალოს და წაუქცევია. თუმცა მასაც-კი წალდი მოუმარჯვებია, მაგრამ ამ იარაღით ვერაფერ გამხდარა გაათვთრებულ ლეკვთა დედასთან, რომელსაც იქამდე უთრევ-უგლეჯია, ვიდრე მოჰკლავდა. მერე წაეღო, იქვე პატარა ღელეში დაემარხნა და მიეყარა ფიჩხი და ფოთოლი.

იმ ღამეს რომ სოფელში არ დაბრუნებულა, შინაურებს შეჰშინებიათ და მეორე დღესვე დაუწყიათ მთაში ძებნა. მართლაც ეპოვათ ნადირისაგან ცხვირ-პირ მოჭმული და გამონაწლევებული საბრალოს გვამი. დათვისათვის მონადირეებს ღეკვები წაესხათ და დაეჭრათ კიდეც.

რუსეთის ქრონიკა

∝ მთავრობამ ნება დართო, რომ მომავალ წელს იანვარში პეტერბურგს მოწვეულ იქნას რუსეთის ვეტერინართა საერთო კრება. განსახილველი საგნები იქნება—საზოგადო ვეტერინარიის პრაქტიკული და თეორეტიული საკითხები. საორგანიზაციო კომიტეტი უკვე არჩეულია.

მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს საპატიმროებში სასოფლო-მეურნეობის სწავლება. ამ საკითხის გამოსარკვევად დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელიც 25 თებერვლიდან შეუდგება მუშაობას.

∝ „მოსკოვ. ვედომოსტ“-ს სიტყვით, ფინლანდიის გენერალ გუბერნატორმა წინადადება მისცა ფინლანდიის სენატს, დაუნიშნოს სასჯელი ფინლანდიის გემებს, რომელნიც დაწესებულ სამხედრო სალამს არ აძლევენ ხოლმე რუსეთის სამხედრო გემებს.

∝ იგივე გაზეთი იტყობინება, რომ, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, 1-ლ თებერვლიდან უნდა დაიხუროს ფინლანდიის განსაკუთრებული სადეპეშო ბიურო.

∝ მიწად-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს გააადვილოს მცირე სამრეწველო ამხანაგობათა და არტელების დაარსების საქმე. ამისათვის უნდა შეიმუშავონ ნორმალური წესდება ამ დაწესებულებათა და მაშინ ამგვარ ამხანაგობა-არტელების დაარსების ნებას გუბერნატორები მისცემენ, სამინისტროს დაკითხვა კი საჭირო აღარ იქნება.

∝ ეხლახან მოსკოვში მომხდარ ხირურგების კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცეს ქალებს და რომ ებრაელების მიღებაც ნუ იქნება პროცენტებით შეზღუდული.

∝ ქალაქ მინსკის დურგლებს შუამდგომლობა აღუძრავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მიეცეთ მათ დააარსონ მინსკში მუშათა კლუბი.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

14 იანვარს საბჭოში ორი სასწაული მოხდა: ერთი—ოცდა ცხრა ხმოსანი შეიკრიბა და მეორე—სხდომა ცხრა საათზე დაიწყო. უნდა განეხილათ 9 „საქმე“; ამათგან ერთი მეშვიდეჯერ არის „საქმეთა“ სიაში მოქცეული, ორი მეექვსეჯერ, ერთი მეოთხეჯერ, ორი მესამეჯერ და ერთიც მეორეჯერ.

საქმის კეთებაც ეგრე უნდა და თუ ტფილელ ამომრჩეველს კარგი მახსოვრობა აქვს, ეხლანდელ ხმოსნების დაუვიწყარ „ამაგს“ არ დაივიწყებს.

სხდომის დაწყებისათანავე ხმ. ბულდანოვი შეეკითხა თავმჯდომარეს—რატომ არის, რომ გამგეობის ერთი მოხელე, რომელსაც რამდენიმე ბოროტ-მოქმედება დაუმტკიცდა, აქამდე სამსახურში არისო. თავმჯდომარის სიტყვით, ამ მოხელის მოქმედების გამო გამოძიება სწარმოებს და შემდეგ მორიგ კრებაზე ყველაფერი მოხსენდება საბჭოს.

ჯერი მიდგა ლომბარდის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც მეოთხეჯერ არის სიაში მოქცეული. მაგრამ ბედმა არ გაუღიმა გუშინ-წინაც—გამგეობა თურმე მოვალეა ყოველი ხარჯთ-აღრიცხვა და ფინანსების შესახები კითხვა ჯერ საფინანსო კომისიას წარუდგინოს და მერე საბჭოს. გამგეობას ეს დავიწყებია და ამიტომ საბჭომ არ განიხილა ლომბარდის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა—ჯერ საფინანსო კომისიამ განიხილოსო. თუ ხმ. სულხანოვს დავუჯერებთ, ჩვენი გამგეო-

---

ვსთქვათ, ათას საჟენის სიღრმეზედ რომ გადავშინჯოთ დედა მიწის ზოლები, იქ დავინახავთ მრავალ გაქვავებულ ცხოველს. ამ გაქვავებულ ცხოველების საშუალებით მეცნიერებმა დაგვიხატეს მთელი ისტორია, მთელი სიცოცხლე ჩვენის მიწისა. მეცნიერებმა ეს ისტორია საუკუნოებად ანუ ეპოქებად დაჰყვეს; ზოგი ეპოქა ჩვენთან ახლოა, ზოგიც შორს. სიცოცხლის დასაბამი, რა თქმა უნდა, უძველეს ეპოქებში უნდა ვეძიოთ. რაც უფრო ჩვენთან უახლოვეს ეპოქას განვიხილავთ, იქ რომელიმე უფრო რთულ ორგანიზაციის ცხოველებს და მცენარეებს დავინახავთ. აქ არის ძუძუ-მწოვარა ცხოველები, მაგალითად, სპილო, ადამიანი და სხვ.; შემდეგ, კიდევ იქითა ხანებში ძუძუ-მწოვარა ცხოველებს ველარ ვხედავთ, მათი კვალიც არ სჩანს, აქ არიან მხოლოდ ფრინველები, კიდევ იქითა ხანაში არც ფრინველია... ამ გვარად, სულ იქითა, უძველესს, ეპოქაში მხოლოდ-ღა ზღვის უბრალო და სადა ორგანიზაციის ცხოველსა და მცენარეს ვხედავთ. კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ არის. მაშასადამე, სიცოცხლის დასაბამი უნდა ყოფილიყო უძველეს, არქაეულ, ზღვებში. ამას გვიმტკიცებს მეცნიერება.

—

თუ სიცოცხლე უძველეს ეპოქის ზღვაში წარმოიშვა, რა თქმა უნდა, ამ შორეულ დროს კოსმიური ანუ მსოფლიო მოვლენანი [illegible] ვა გვარი იყო, ვიდრე დღეს: ატმოს[illegible] ნუ ჰაერი იმ ხანებში სხვა იყო და [illegible] სხვაა. ზღვის წყალის თვისებაც სხვა [illegible] ქნებოდა, ვიდრე დღეს, ტემპერატუ-

მდგომარეობა წინათ სულ სხვა ნაირი იყო, ვიდრე ახლა.

—

გავარჩიოთ როგორი ატმოსფერა ანუ ჰაერი ჰქონდა შემორტყმული დედა-მიწას მაშინ, როდესაც პირველი ცოცხალი არსება გაჩნდა. რადგან ტემპერატურა მეტად ცხელი იყო, მაშინ მეტი ორთქლი იყო, ვიდრე დღეს. სიცივისაგან წყლად ქცეული ორთქლი დედა-მიწაზე ვარდებოდა და ზღვას ემატებოდა, ან თვით დედა-მიწის გულში ჩადიოდა. ვინ არ იცის, რომ დედა-მიწის ყოველ სიღრმეზე არის წყალი. მიწა ღრუბელივით ისრუტავს წყალს და ეს იმიტომ, რომ დედა-მიწის გულში დიდი სიცხე ტრიალებს, წყალიც ორთქლად იქცევა და ზევით ამოდის. წყალის წვეთი ყოველ კლდის პატარა ჭუჭრუტანაშიაც კი მოიძებნება. გამოანგარიშებულია: რაც დღეს წყალია, ისიც არ არის სამყოფი დედა-მიწის გასავსებლად. დედა-მიწა თუ, რაც წყალია, ერთიანად შესრუტავს, მაშინ იგი დასკდება, დიდ ხევებად დაიყოფა, ერთიანად სიცოცხლე მოესპობა და მთვარესავით მკვდარ პლანეტად გადაიქცევა.

—

ის ხომ ვსთქვით, რომ ატმოსფერას ანუ ჰაერს, სიცივის გამო წყლის ორთქლი ნელნელა აკლდება, ამიტომაც ჰაერს სისქე ანუ სივრცე ნელ-ნელა აკლდებოდა. სხვა-და-სხვა პლანეტის ატმოსფერა სხვა-და-სხვა სისქისაა, მით უფრო თხელი, რაც უფრო ძველია პლანეტა, და ამასთანავე ხმელეთის სივრცე უფრო დიდია, ვიდრე წყლისა. მიწას, ვენერას და მერკურის, როგორც ახალ პლანეტებს, უფრო სქელი ატმოსფერა ახვევიათ და წყლის სივრცე პროპორციონულად უფრო დიდია. თუ ატმოსფერა მაშინ უფრო სქელი იყო, როცა პირველი ცოცხალი არსება გაჩნდა ძველ ეპოქაში, მისი სიმძიმეც უფრო დიდი იყო და უფრო მეტის სიმძიმითაც აწვებოდა მიწის ზედა პირს. მეცნიერები ამ დამძიმებას ბარომეტრიულ დამძიმებას ეძახიან და ეს დამძიმება წინად მეტი იყო, ვიდრე დღეს.

—

მჟავ-მბადი, რომელიც წყალმა ჰაერიდან გამოიტანა, ისევ დედა-მიწაში რჩებოდა იმიტომ, რომ წყალი მიწაში ჩადიოდა და იქ ხვდებოდა გაცხელებულ კლდეს და ქიმიურად ზედ მოქმედებდა: ამ კლდეს აშჟავებდა და ზოგიერთ ნაწილს მჟავ-მბადისას იქ სტოვებდა. ამ გვარად მჟავ-მბადის რაოდენობა ძველს ეპოქაში პროპორციონულად ნაკლები იყო, ვიდრე დღეს.

—

დიდ მნიშვნელობას შეადგენს მცენარეების და ცხოველების სიცოცხლისათვის ნახშირ-სიმჟავე—ის გაზი, რომელიც შეადგენს ერთ ნაწილს ჩვენის ჰაერისას. ეს გაზი—ნახშირ-სიმჟავე—დღესაც მრავლად გამოდის დედა-მიწისგან იმ ადგილებში, სადაც ვოლკანებია. ან კიდევ ვის არ უნახავს დუღილი მჟავე წყლებისა, როდესაც მიწიდან გამოდიან. ამ დუღილის მიზეზი ნახშირ-სიმჟავეა, რომელიც გახსნილი იყო წყალში და ამოვიდა თუ არა მიწიდან, ჰაერისაკენ მიისწრაფვება. ეს ნახშირ-სიმჟავე ძველ ეპოქაში უფრო სიმრავლით გამოდიოდა, რადგან მაშინ მიწის შიდა სიცხე უფრო მძლავრი იყო და ამიტომაც დედა მიწის გულში ლითონთ და წყალს შორის ქიმიური რეაქციაც უფრო მძლავრი იყო. რაც მეტი დრო მიდიოდა დედა მიწის არსებობისა, ნახშირის-სიმჟავის რაოდენობა ჰაერში მცირდებოდა იმიტომ, რომ ამ ნახშირ-სიმჟავეს მცენარეები ართმევენ და ქვანახშირად აქცევენ; ართმევენ აგრეთვე ზღვებიც. ეს დაგვიმტკიცა მეცნიერმა შლესინგმა (Schlaesing) ქიმიურად: როდესაც ზღვის წყალი ნახშირ-მბადით გაჟღენთილ ჰაერს შეეხება, ამ დროს ზღვის წყალში გახსნილი მარილები გადაგვარდებიან ხოლმე სხვა მარილებად და იმ დროსვე იმავე წყალში ეს მარილები თავის თავად იხსნებიან...

ერთის სიტყვით, რაოდენობა ნახშირ-სიმჟავესი მცირდებოდა. ეს გარემოება სიცოცხლის გაძლიერებას ხელს უწყობდა, რადგან არც-ერთ ცოცხალ არსებას მარტო ნახშირ-სიმჟავის ატმოსფერაში სიცოცხლე არ შეუძლია.

—

აზოტი ქიმიურად სუსტი ენერგიისაა, ამიტომ იგი დღესაც იმდენ ნაწილს შეადგენს ჰაერისას, რამდენიც ძველ ეპოქის ატმოსფერაში იყო.

ამ გვარად, დღევანდელ მეცნიერების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰაერი ანუ ატმოსფერა ძველ ეპოქების დროს მაშინ, როდესაც პირველი ცოცხალი არსება გაჩნდა, ძრიელ მძიმე, იყო; რაოდენობა მჟავ-მბადისაც პროპორციანურად ნაკლები იყო; ნახშირ-სიმჟავის რაოდენობა-კი შედარებით მეტი იყო. ამგვარ მდგომარეობაში სიცოცხლე მხოლოდ დაბალ აგებულების ორგანიზმებს შეეძლოთ და ესენი არიან სიცოცხლის დასაბამიც.

გიორგი დეკანოზიშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) ითერის სინესტე და ელექტრონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სხვა აღმასრულებელ კომისიებსაც აგდებულად ექცევა—თუ მოიწვევს წვრილმან კითხვებისათვის, საყურადღებო კითხვებს კი უკომისიოდ იხილავს და ურდგენს საბჭოს.

არც მეორე კითხვას გაუღიმა ბედმა, თუმცა იგი მეექვსეჯერ არის დანიშნული. საქმე ის არის, რომ რამდენიმე „მეტრაქტირეს“ ტრაქტირი აღარ გაუხსნია და ამიტომ ისინი სატრაქტირო ხარჯის გადამხდელთა სიიდან უნდა ამორიცხონ, რაც გამგეობის გამოანგარიშებით ქალაქის შემოსავალს 8256 მ. და 66 კ. დააკლებს. ზოგ ხმოსნების აზრით კი, ქალაქის შემოსავალს არაფერი არ უნდა დააკლდეს, რადგან საზოგადო წესის მიხედვით ეს 8256 მ. და 66 კ. დანარჩენ მეტრაქტირეებს უნდა გაეწეროს. გამგეობა ამტკიცებდა, რომ არის სენატის ახსნა, რომლის ძალით არ შეგვიძლია სხვას გავაწეროთ ეს დანაკლისიო, მაგრამ, რადგან სენატის ეს ახსნა ხელთ არ ჰქონდათ და ვერც მონახეს (ესეც გამგეობის საქმიანობაა), საკითხის გადაწყვეტა გადაიდო.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საამშენებლო განყოფილების სავალდებულო დადგენილებათა მე-24-ე პარაგრაფის შეცვლამ. და ეს კამათი დამახასიათებელი იყო ბევრის „მოღვაწისათვის“. ამ პარაგრაფის ძალით, სახლის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ქუჩის სიგანეს; ამას თხოულობს ჰიგიენა, ამასვე თხოულობს ცეცხლის გაჩენის შიშიც. მაგრამ სახლის მეპატრონეთ ხომ ჰიგიენა არ ეინტერესებათ და ცეცხლიც მათთვის საზარალო ძალიან იშვიათია. ამიტომაც არის, რომ ეს პარაგრაფი მათ არ მოსწონდათ და ყოველ ღონეს ღონობდნენ შეეცვალათ იგი. ტფილისის საბჭოც რა საბჭო იქნებოდა, რომ „საწყალ“ სახლის მეპატრონეთ დამცველები არ გასჩენოდნენ. თაიროვი, ყველა ალიხანოვები, კოჩარიანცი (თურმე ექიმი ყოფილა) და სხვები მჭევრმეტყველურად ამტკიცებდნენ, რომ სახლის პატრონები დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, მეტად ნაკლებ პროცენტებს იღებენ და საჭიროა თვით-მმართველობამ დახმარება აღმოუჩინოს მათ ჰიგიენურ პარაგრაფის შეცვლითო. საბჭოს საგანგებო კომისიაც ამ აზრის იყო. რომ ხმ. არ. ბაბოვი და ექ. ლუნკევიჩი არა, საბრალო „მაძღრების“ დამცველნი თავისას გაიტანდნენ. პარაგრაფი კი მაინც შეიცვალა, მაგრამ ეს ცვლილება ისეთი არ იყო, როგორც თაიროვებსა და ალიხანოვებს სურდათ; შენობების სიმაღლე შეიძლება ერთის მეოთხედით მეტი იყოს ქუჩის სიგანეზედ.

აღსანიშნავია ორის ექიმის დიამეტრალურად წინააღმდეგი აზრი ამ პარაგრაფის შესახებ. ლუნკევიჩის აზრით, ეს პარაგრაფი მეტად სიმპატიურია და მისი შეცვლა წინააღმდეგი იქნება ჰიგიენის მოთხოვნილებისა. ექ. კოჩარიანცი კი სულ სხვას ამბობდა, მაგრამ რასაც ამბობდა, ის ექიმის სიტყვები კი არ იყო, არამედ „მაძღართა“ ვექილისა.

საკვირველი ის არის, რომ ამ ექიმსა თუ ვექილს, სტუდენტობის დროს, მანსარდებში უცხოვრია, როგორც თვითონ გვითხრა.

ამდენ „საქმეთა“ განხილვის შემდეგ ხმოსნები დიდის სიმარდით და მოხერხებით გაიპარნენ დარბაზიდან. ზუბალაშვილის თავშესაფარის საქმეს არა ეშველარა და მგონი არც ეშველოს არჩევნებამდე.

სასამართლო

გუშინ, 15 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე განჯის მაზრის მეოთხე ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ ნამყოფის თავ. დავით ილიას ძე ანდრონიკაშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია:

თავ. ანდრონიკაშვილს, 1893 წელს, სამსახურში ყოფნის დროს, მოუკრებია რაღაც გადასახადი; ამ ფულებიდან მას დაუტოვებია 35 მ. და ხაზინაში იგი მხოლოდ 1900 წელს წარუდგენია. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულმა თავ. ანდრონიკაშვილმა პალატაში განაცხადა, რომ მან ხაზინაში ფულების შეტანის საქმე მიანდო კანცელარიის მწერალს, რომელსაც დროზე ფული დანიშნულებისამებრ არ წარუდგენია.

რამდენიმე ხნის თათბირის შემდეგ პალატამ გამოაცხადა თავისი განაჩენი, რომლითაც თავ. ანდრონიკაშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა სრულიად სამსახურიდან გამორიცხვა. გარდა ამისა, თავ. ანდრონიკაშვილი პალატამ ერთი თუმნით დააჯარიმა.

—

ჭიათურის სამრეწველო ბოქაულად ნამყოფმა ნ. ნ. არდიშვილმა ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება, რომლითაც მას მიუსაჯა ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, განასაჩივრა კასაციის წესით უმართებულეს სენატში; სენატი ამ საქმეს, როგორც იტყობინებიან, განიხილავს იანვრის ბოლო რიცხვებში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 იანვარი

პეტერბურგი. 1893 წელს ღვთივ-განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მე-III უმაღლესად ბრძანა, რომ საგლეხო კანონების გადასინჯვის საქმეებს თავი მოუყარონ შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1900 წელს ხელმწიფე-იმპერატორმა უბრძანა შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოედგინა თავისი მოსაზრება ამ გადასინჯვის სამუშაოთა გაგრძობის შესახებ და ამასთანავე საჭიროდ ცნობილი იყო, რომ გამოიცვალოს ის კანონები, რომელთა ნაკლულევანება გამოცდილებამ აღმოაჩინა; მაგრამ კანონების შეცვლა უთუოდ იმ ნიადაგზე უნდა მოხდეს, რომელზედაც დაფუძნებული იყო 1861 წლის 19 თებერვლის საგლეხო დებულება. ამ ჟამად საგლეხო კანონდებულებათა გადასინჯვა სწორედ ამ კვალობაზე მიენდო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ გამგეობის განსაკუთრებულ მოხელეთ.

12 იანვარს მარიინსკი თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარნი მეუღლეებითურ.

13 იანვარს სმოლენსკის სასაფლაოზე პროფესორი მუშკეტოვი დაასაფლავეს.

ვარშავა. ქალაქის სამართველომ სახელმწიფო ბანკს სთხოვა, ქალაქის ობლიგაციების დაგირავების დროს 6 პროცენტზე მეტს ნუ აიღებთო.

ვილნო. ბავშვთა მფარველ საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო.

ბერლინი. იმპერატორი და უელსის პრინცი გვარდიის პირველ დრაგუნთა პოლკის საუზმეს დაესწრნენ.

ბერლინი. „ლოკალ ანცაიგერი“ იუწყება, რომ გერმანიისა და ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ ბურთა ოჯახებს ფული და ტანისამოსი გაუგზავნოთ.

იოჰანესბურგი. 9 იანვარს ბურების გენერალი ბეიერსი შეიჭრა საერთო ბანაკში და მრავალი ბურგერი თან წაიყვანა. დღეს კი პიტერსბურგს დაეცა იგივე გენერალი, მაგრამ განდევნეს და სამი კაცი მოუკლეს, სამიც დაუჭრეს.

10 იანვარს ბურებმა პიტერსბურგის ახლო მატარებლის აფეთქება განიზრახეს, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სოფია. გაზ. „ბოლგარია“ იუწყება, რომ ამერიკიდან დელეგატები მოვიდნენ ჯუმაეში მისს სტონის დასახსნელად.

პეტერბურგი. 14 იანვარს დაბრუნდნენ საზღვარ-გარეთიდან დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მისი მეუღლე.

13 იანვარს პეტერბურგიდან წავიდა სიამის ტახტის მემკვიდრე.

სარატოვი. საქალაქო საზოგადო ბანკის მოხელემ ხახარინმა რევოლვერი ესროლა ბანკის დირექტორს სტეპაშკინს. ჭრილობა მსუბუქია.

კიევი. დიდის ამბით დაასაფლავეს სოლოვცოვი.

პეკინი. იუნშინკაის ყოველწლივ მიეცემა ხუთი მილიონი ტაელი პეჩელიში 100 ათასი ჯარის კაცის შესანახად. იუშინკაიმ, რომელიც ფაქტიური გამგეა ჩინეთის ფლოტისა და მხედრობისა, წინადადება მისცა მთავრობას, გამოიწეროს ინსტრუქტორები: ფლოტისთვის—ინგლისიდან, ხმელეთის ჯარისათვის—იაპონიიდან.

ჩინელებმა იპოვეს 100 მილიონის ოქრო და ვერცხლი, რომლისათვის უცხოელებს ხელი არ უხლიათ.

კონსტანტინეპოლი. ცნობა, ვითომ დიდმა ვეზირმა სულთანს მიართვა ტრიპოლის საქმეების შესახებ მოხსენება, სიმართლეს მოკლებულია.

ბელგრადი. ცნობა, ვითომც ვაჭრობის მინისტრი მილანოვიჩი გოლუხოვსკისთან საუბრის დროს სერბიის განზრახვებს შეეხოთ, მოგონილია.

ვენა. ერცჰერცოგის ფრანც ფერდინანდის პეტერბურგში გამგზავრების შესახებ გაზ. „ფრემდენბლატ“-ი ამბობს: ერცჰერცოგის პეტერბურგში წასვლას შეუძლიან კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრული განწყობილება რუსეთსა და ავსტრიას შორის, რომელიც ამას წინად გამოიხატა სხვათა შორის იმითაც, რომ რუსეთის მთავრობამ ერცჰერცოგს რუსეთის მხედრობის გენერლობა უბოძა. გაზ. „ფრეიე პრეს.“ ამბობს, რომ ერცჰერცოგის გამგზავრება სამხედრო თავაზიანობა არისო და პოლიტიკური ხასიათი არა აქვსო, მაგრამ კმაყოფილი უნდა ვიყოთო, რომ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის გამგზავრება პეტერბურგში უფრო განამტკიცებს ორ სახელმწიფოთა შორის კარგ განწყობილებას. გაზ. „ვინერ მორგენბლატ“ სწერს, რომ ერცჰერცოგის რუსეთში გამგზავრება ცხადი ნიშანია იმისა, რომ უბრალო თავაზიანობის მაგივრად უფრო გულითადი კავშირი მყარდება ავსტრიასა და რუსეთს შორის.

15 იანვარი.

პეტერბურგი. 14 იანვარს, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს საზამთრო სასახლეში გაიმართა უმაღლესი საუზმე, რომელსაც დაესწრო გერმანიის ელჩი მეუღლით,

ნიჟნი-ნოვგოროდი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახსნა, რომ საქალაქო სასაკლაოს არსებობა ნიჟნი-ნოვგოროდში ხელს ვერ შეუშლის კერძო პირებს გამართონ კარგად მოწყობილი სასაკლაოები.

ვენა. ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი წავიდა პეტერბურგს, რათა წარუდგეს რუსეთის იმპერატორს, როგორც რუსის კავალერიის გენერალი.

ბერლინი. გვარდიის დრაგუნების კაზინოში გამართულ საუზმეზე იმპერატორმა დალია სადღეგრძელო პრინცის უელსისა, როგორც ინგლისის ჯარის წარმომადგენლისა და პოლკის შეფისა. პრინცმა მადლობა გადაუხადა მეგობრულის მიღებისა და მერვე კირასირთა პოლკის შეფად დანიშვნისათვის, რის შემდეგ პრინცმა დალია იმპერატორის სადღეგრძელო.

ლონდონი. ლინდენბურგთან დაატყვევეს ბურების უფროსი ბენ-ვილიოენი; მიდდელბურგის ჩრდილოეთით დატყვევებულთა შორის არის აგრეთვე კომანდირი ჯანსი ბოტა.—ომიანობა რომ ჩქარა გათავდეს, ტყვედ აყვანილი ბურების გენერალი ვილიენი კიტჩენერის თანხმობით თავს უყრის 1500 ბურგერს. ვილიენი სწერს შტეინს, რომ მისი ჯიუტობა უიმედო ომიანობის განგრძობაში გამოიწვევს შინაურ ბრძოლას ორანჟეს რესპუბლიკაში.

სტოკჰოლმი. ბედინმა და 40-მა წევრმა შეიტანეს პარლამენტში წინადადება, რათა შუამდგომლობა იქნეს აღძრული მთავრობის წინაშე, რომ მან ღონისძიება იხმაროს და შეატყობინოს სახელმწიფოებს შვეციისა და ნორვეგიის ნეიტრალიტეტობა, იზრუნოს, რომ დანია თანახმა შეიქნას ამ წინადადებისა და, თუ საჭირო იქნა, შეატყობინოს ყველა სახელმწიფოებს [illegible] დიპლომატიური წარმომადგენლებია, რომ სკანდინავიის სახელმწიფოები მზად არიან დიდხანს დაიცვან ნეიტრალიტეტი.

ტომსკი. ქალაქის თავად აირჩიეს ექიმი მაკუშინი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ბლ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 11 იანვარს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	—
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	[illegible],80
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	$97\frac{7}{8}$ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	368 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	263 მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$81\frac{3}{8}$ გაყიდ.
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.	88½ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევს 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

Открыта подписка на 1902 годъ
(Двадцать третій годъ)
НА ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНІЕ
„РУССКАЯ МЫСЛЬ“

Предпологаемое содержаніе январской книги: 1) Все прилично. Повѣсть. П. Д. Боборыкина. 2) Спрутъ. Калифорнскій романъ. Франка Норрисъ. Пер. съ англ. А. Г. 3) Новый годъ. Ив. Бунина. 4) Лилитъ. Стихотвореніе. М. Лохвицкой. 5) Нашъ собратъ по перу Обуховъ. Разсказъ. Ѳ. Ѳ. Тищенка. 6) Элленъ фонъ-деръ Вейденъ (Дневникъ). Габріэли Рейтеръ. Пер. съ нѣм. Н. К. 7) Романъ въ клѣткѣ. Повѣсть Евг. Чирикова. 8) Двѣ Новелла. Элизы Ожешковой. 9) Стихотвореніе. Ив. Бунина. 10) Очеркъ развитія нѣмецкой художественной литературы въ XIX вѣкѣ. М. Г. 11) Изъ исторіи одной деревни. (Записки Болоколамскаго крестьянина). С. Т. Семенова. 12) Современные французскіе дѣятели, I Жоржъ Клемансо. Х. Г. Инсарова. 13) Въ Гоголевщинѣ. В. А. Гиляровскаго. 14) Изъ жизни еврейскаго пролетаріата. Б. Л. Вольфензона. 15) Письма И. С. Тургенева къ Н. А. Некрасову. 16) Не въ очередь. В. А. Гольцева. 17) Болѣзнь и смерть Гоголя. Н. Н. Баженова. 18) О библіотекахъ при училищахъ—ученической и учительской и о каталогахъ для нихъ. А. А. Стаховича. 19) Внутренное обозрѣніе. 20) 1901 годъ въ политическомъ отношеніи. 21) Библіографія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россіи: на годъ 12 р., 9 мѣс.—9 р., 6 мѣс.—6 р., 3 м.—3 р., 1 м.—1 р. За границу на годъ—14 р., 9 м.—10 р. 50 к., 6 м.—7 р., 3 мѣс.—3 р. 50 коп., 1 мѣс.—1 р. 25 коп.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ годовой цѣны журнала.

Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ отдѣленій конторы журнала—при книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Литейный, д. 46. ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина, Крещатикъ. ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книж[illegible]нѣ Н. П. Карбасникова.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль» находится складъ
Редакторъ-Издатель В. М.
(შ. 1—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 14 Января 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამ